



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი

06.10.2014

№ 38

სარჩევი

საქართველო	3
საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განვითარება დაიწყო	3
ჭაპალასა და ზემო ბოლნისში გაზიფიცირება დასრულდა	4
რეგიონი	5
წლის ბოლომდე აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის გადამუშავების სფეროში 100-მდე სტანდარტი იქნება მიღებული	5
თურქეთის ენერჯო ბაზრისთვის ლიბერალიზაცია აუცილებელია	6
რუსეთი და თურქეთი რუსული გაზის ნაკადის მოცულობის გაზრდაზე შეთანხმდნენ .	7
რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები	8
რუსეთი ირანს 4 გაზსადენის მშენებლობას სთავაზობს	8
ყაზახეთმა აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ნავთობპროდუქტების შემოტანა გადაწყვიტა	9
უკრაინა „ხმელნიცკის“ ბირთვულ ელექტრო სადგურს ასრულებს	10
ევროპა	11
ენერჯეტიკის მინისტრი: „რუმინეთი 2020 წლისთვის გაზის სფეროში დამოუკიდებელი იქნება“	11
გაერთიანებული სამეფოს მთავრობა გაზის 2025 წლის საპროგნოზო ფასებს ამცირებს .	13
რუსეთის გაზის შეწყვეტის შემთხვევაში იტალიას 3 თვის სამყოფი რეზერვი აქვს	14
მსოფლიო	15
ინდოეთი მოწოდებულია მზის ენერჯის წარმოებაზე, თუმცა ჯერ ინვესტირებას არ ახდენს	15
ირანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ელექტრო ქსელების დაკავშირების თაობაზე	16
არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და აშშ-მ, ენერჯო თანამშრომლობის გამყარების მიზნით, ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს.....	17
ანალიტიკა	18
ნავთობის ფასი 90 აშშ დოლარს ჩამოცდა	18

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განვითარება დაიწყო

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობისთვის სამგორის სამხრეთი თაღის ნავთობის საბადო შეარჩია. ნავთობის ძიება-მოპოვების სფეროში საქართველოში მომუშავე ერთ-ერთ კომპანიასთან მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ამ საბადოზე გაზსაცავის პროექტის განხორციელების უფლება მიიღო.

ჩატარებული ანალიზის შედეგებმა აჩვენეს, რომ სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს შუა ეოცენის ჰორიზონტი გაზსაცავის მშენებლობის მიზნებისთვის ყველაზე ოპტიმალური სტრუქტურაა.



სამგორის სამხრეთი თაღის სტრუქტურაზე გაზსაცავის მშენებლობის შემდეგ შესაძლებელი იქნება მასში 230-250 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის შენახვა, რაც საქართველოში გაზის მთლიანი წლიური მოხმარების დაახლოებით 15%-ს შეადგენს. გაზსაცავის მშენებლობით, ქვეყანა მიიღებს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, უზრუნველყოფს საქართველოს მომხმარებლებისთვის გაზის მიწოდებას კრიტიკულ სიტუაციებში ქვეყნის გარედან გაზის მოწოდების შეფერხების შემთხვევაში და შეამცირებს გაზის მოწოდებასა და მოხმარებას შორის არსებული სეზონური დისბალანსს.

უახლოეს პერიოდში დაიწყება გაზსაცავის პროექტის წინასწარი საინჟინრო-ტექნიკური შესწავლები ისევე, როგორც აუცილებელი ფინანსების მოძიების სამუშაოები, რომელთა დასრულების შემდეგ მოხდება გაზსაცავის მშენებლობა.¹

¹ <http://www.gogc.ge/ge/page/saqartvelos-navtobisa-da-gazis-korporaciam-miwisqvesha-gazsacavis-proeqtis-ganvitareba-daiwyo>

ჭაპალასა და ზემო ბოლნისში გაზიფიცირება დასრულდა

ვიცე-პრემიერმა/ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, აზერბაიჯანული კომპანიის „სოკარ ჯორჯია გაზის“ წარმომადგენლებთან ერთად, ბოლნისის რაიონის სოფელ ჭაპალაში ახლადამუშავებული გაზსადენი გახსნა. მინისტრმა და კომპანიის



წარმომადგენლებმა სოფლის ცენტრში ჩირაღდანი აანთეს.

კომპანიამ „სოკარ ჯორჯია გაზმა“ ჭაპალაში 10 კილომეტრის სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი ააშენა, რის შედეგადაც სოფელში მცხოვრებ 350 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის

შესაძლებლობა მიეცა.

ამასთანავე, ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სოფელ ზემო ბოლნისში გაზიფიცირების დასრულების სამუშაოებს დაესწრო, სადაც „სოკარ ჯორჯია გაზმა“ 5 კილომეტრის სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი ააშენა, რის შედეგადაც, სოფელში მცხოვრებ 143 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა.

ბოლნისის რაიონში დღეისათვის გაზიფიცირებულია 8 125 ოჯახი, მათ შორის 500 სპეციალური სოციალური პროგრამით სარგებლობს, რომლითაც აბონენტი ეტაპობრივად იხდის გაზის ქსელში მიერთების საფასურს 25 ლარის ოდენობით.

სულ ქვემო ქართლში აშენებულია 1000 კილომეტრის სიგრძის ახალი გაზსადენი. გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა აქვს 25 000 პოტენციურ აბონენტს.

ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზგამანწილებელი კომპანიების მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, საქართველოს მასშტაბით 2014 წლის ბოლომდე 86 ათასზე მეტი ოჯახი გაზიფიცირდება. გეგმის განხორციელების შემდეგ, გაზიფიცირებული იქნება დამატებით 252 სოფელი და ახალი ინფრასტრუქტურის შექმნაში ათობით მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდება.

ამასთან, გაზგამანწილებელი კომპანიები მოსახლეობას ოჯახში ბუნებრივი აირის შესაყვანად საჭირო თანხის რამდენიმე თვეზე გადანაწილებას სთავაზობენ. ენერგეტიკის სამინისტროსთან შეთანხმებით, აღნიშნული თანხა თვიურად 25 ლარს არ უნდა აღემატებოდეს.²

² <http://energy.gov.ge/show%20news%20mediacenter.php?id=328&lang=geo>

წლის ბოლომდე აზერბაიჯანში ნავთობისა და გაზის გადამუშავების სფეროში 100-მდე სტანდარტი იქნება მიღებული

მიმდინარე წლის ბოლომდე აზერბაიჯანის სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და პატენტების სახელმწიფო კომიტეტი ნავთობისა და გაზის გადამუშავებისა და ნავთობქიმიური პროდუქციის წარმოების ახალი კომპლექსისათვის (OGPC), რომელსაც ქვეყანაში კომპანია „სოკარი“ (აზერბაიჯანული სახელმწიფო ნავთობკომპანია) ააშენებს, 100-მდე ახალ სტანდარტს მიიღებს. ამის შესახებ „ტრენდს“ სახელმწიფო კომიტეტში აცნობეს.

უწყებაში აღნიშნეს, რომ სტანდარტები, რომელთა შემოღებაც იგეგმება ახალი კომპლექსის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში, შემუშავდება აზერბაიჯანის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის



ინსტიტუტსა და „სოკარს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის პირველი ეტაპის განხორციელების ვადა ორ წელიწადს, ხოლო მთლიანი პროექტის - რვა წელიწადს შეადგენს.

როგორც უწყებაში აღნიშნეს, სამუშაოები პროექტის ფარგლებში გრძელდება და კონტრაქტის

საფუძველზე საერთო ჯამში ათასამდე ახალ სტანდარტს მოამზადებენ და მიიღებენ.

„ახალი სტანდარტები შეეხება როგორც სამრეწველო პროცესებს, ასევე პროდუქტებს, რომელსაც კომპლექსი აწარმოებს“, - აღნიშნეს სახელმწიფო კომიტეტში.

აზერბაიჯანის სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ინსტიტუტის სპეციალისტები კონტრაქტის ფარგლებში მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში შეისწავლიან საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების აქტუალობას, ასევე ჩაუტარებენ ექსპერტიზას აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი სტანდარტების პროექტების დოკუმენტებს ლინგვისტურ, ორფოგრაფიულ და სახელმწიფო სტანდარტებთან შესაბამისობას.

OGPC ბაქოდან 60 კილომეტრში განთავსდება და სამი გადამამუშავებელი საწარმოსა და თბოელექტროსადგურისაგან შედგება.

OGPC-ის მშენებლობის პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, გააძლიერებს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს და დაეხმარება დედაქალაქის გარემოს დაცვას.

OGPC-ს შემადგენლობაში შემავალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის წლიური წარმადობა - 8.5-9 მილიარდი ტონა, გაზგადამამუშავებელი ქარხნის კი 12 მილიარდი კუბური მეტრი იქნება, ხოლო ნავთობქიმიური წარმოება ერთ მილიონ ტონას გადააჭარბებს (პოლიეთილენის წარმოების დანადგარის სიმძლავრე 800 ათასი ტონა იქნება, პოლიპროპილენის წარმოების დანადგარის - 300 ათასი ტონა).

როგორც ადრე იუწყებოდნენ, OGPC-ს მშენებლობის პროექტის ღირებულება (კრედიტების საპროცენტო განაკვეთების ჩათვლით) 14.4 მილიარდ დოლარს შეადგენს. პროექტისათვის გამიზნული დანახარჯების საერთო მოცულობიდან 6.1 მილიარდი დოლარი ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე, 3.6 მილიარდი დოლარი - გაზგადამამუშავებელ ქარხანასა და ენერგობლოკზე, 2.6 მილიარდი დოლარი - ნავთობქიმიურ კომპლექსზე მოვა, ხოლო დარჩენილი 2.1 მილიარდი დოლარი საკრედიტო ხარჯებს წარმოადგენს.

პროექტის 30-40%-ის განხორციელება გათვალისწინებულია საკუთარი კაპიტალის ხარჯზე, ხოლო დარჩენილი ნაწილი - სესხებით. უკუგების პერიოდი 4.5 წელს შეადგენს, პროექტის განხორციელების პერიოდი - 8 წელიწადს.

ამჟამად აზერბაიჯანში ნავთობპროდუქტებს ბაქოში არსებული ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ბაზაზე ამუშავებენ, რომელთა ჯამური სიმძლავრე წელიწადში 16 მილიონ ტონას შეადგენს. ამას გარდა, „სოკარის“ ბალანსზე არის საწარმოო გაერთიანება „აზერიკიმია“ (ქიმიური პროდუქციის მწარმოებელი) და გაზგადამამუშავებელი ქარხანა.³

თურქეთის ენერგო ბაზრისთვის ლიბერალიზაცია აუცილებელია

„იმისათვის, რომ თურქეთმა ენერგო ბაზარზე ინვესტორების ინტერესი შეინარჩუნოს, აუცილებელია ბაზრის ლიბერალიზაცია“ - აცხადებს თურქეთის ენერგო მოვაჭრეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბათუ აკსოი. მისი განცხადებით, მომდევნო 10 წლის განმავლობაში ქვეყანას 120 მლრდ აშშ დოლარის ჯამური ინვესტიცია ესაჭიროება, თუმცა თურქული კომპანიები ასეთი ოდენობის კაპიტალს არ ფლობენ. თურქეთს ამ დანაკლისის შესავსებად უცხოელი ინვესტორები სჭირდება და მათ მოსაზიდად კი ქვეყანამ კერძო სექტორის მონაწილეებს ენერგეტიკის სექტორისკენ გზა უნდა გაუხსნას.

³ <http://www.trend.az/capital/energy/2318008.html>

აკსოის აზრით, კაპიტალის დეფიციტის ერთადერთი გადაწყვეტა ბაზრის ლიბერალიზაციაა. ლიბერალიზაცია კი ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ენერგო სექტორში თავისი გავლენა უნდა გამოიცილოს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ნახშირწყალბადების მარაგების 80% თურქეთის

ირგვლივია განთავსებული და ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ისევე, როგორც ენერჯის იმპორტში ქვეყნის გავლენის გასაზრდელად, ენერგო რესურსები თურქეთის მილსადენების საშუალებით უნდა გატარდეს. „ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალყურს



ერაყში და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციებს. აშშ-ს საერთაშორისო ენერგეტიკული ადმინისტრაციის (EIA) მონაცემებით, ერაყში აღმოჩენილი გაზის მარაგები 3.1 ტრლ კუბ.მ-ს შეადგენს, რომელიც მსოფლიოში მე-11 ადგილს იკავებს გაზის მარაგების კუთხით. თუმცა, ინფრასტრუქტურული და ბიუროკრატიული პრობლემების გამო ერაყს წლიურად 1 მლრდ კუბ.მ-ის წარმოებაც არ შეუძლია“ - ნათქვამია აკსოის განცხადებაში.⁴

რუსეთი და თურქეთი რუსული გაზის ნაკადის მოცულობის გაზრდაზე შეთანხმდნენ

რუსეთის ბუნებრივი რესურსების მწარმოებელი კომპანია „გაზპრომის“¹ ოქტომბერის განცხადების თანახმად, რუსეთი და თურქეთი შეთანხმდნენ რომ „ცისფერი ნაკადის“ წყალქვეშა გაზსადენის მეშვეობით რუსეთი თურქეთს გაზის გაზრდილ მოცულობას მიაწვდის, კერძოდ, 16 მილიარდი კუბური მეტრის ნაცვლად, 19 მილიარდ კუბურ მეტრს.

„გაზპრომმა“ ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს თურქეთში გაზის მიწოდების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 30 მილიარდ კუბური მეტრს მიაღწია, მაშინ როდესაც გასულ წელს იგივე მაჩვენებელი 25.6 კუბური მეტრი იყო.

შეთანხმება ძალაში შევიდა თურქეთის ენერგეტიკის მინისტრის თანერ ილდიზის, მისი რუსი კოლეგის - ალექსანდერ ნოვაკინის, „გაზპრომის“ აღმასრულებელი დირექტორის ალექსეი მილერის, რუსეთის სახელმწიფო ატომური კომპანიის

⁴ <http://www.turkishweekly.net/news/172712/liberalization-vital-to-turkish-energy-market.html>

„როსატომის“ აღმასრულებელი დირექტორის სერგეი კირიენკოსა და „გაზპრომექსპორტის“ თავმჯდომარის - ელენა ბურმისტროვას მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც გაიმართა რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში.

2000 წლიდან თურქეთში გაზის მოთხოვნა გასამმაგდა და თითქმის 47 მილიარდ კუბურ მეტრს მიაღწია, ტენდენციის თანახმად კი მომავლაში კიდევ უფრო გაზრდაა მოსალოდნელი, რაც ეკონომიკურ და მოსახლეობის ზრდას უკავშირდება. თურქეთი წლიურად 45 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მოიხმარს, აღნიშნული გაზის მოცულობის დაახლოებით 60% კი რუსეთიდან შემოდის. წლიურად ქვეყნის ენერგეტიკული გადასახადი ჯამურად დაახლოებით 60 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს.



თურქეთმა „გაზპრომს“ გაზის ფასების დაკლება სთხოვა, თუმცა თავდაპირველად რუსეთის პოზიცია არ იყო ნათელი, დათანხმდებოდა თუ არა რაიმე დათმობაზე წასულიყო.

გერმანიის შემდეგ, თურქეთი იქცა რუსული გაზის მოხმარების კუთხით რიგით მეორე უდიდეს მომხმარებელ ქვეყანად, რომელიც მხარს უჭერს ევროპაში „გაზპრომის“ წყალქვეშა აღმოსავლეთ ნაკადის გაზის მილსადენის პროექტის განხორციელებას.

2400კმ-იანი (1490 მილი) გაზსადენი რუსეთიდან შავი ზღვის გავლით მიემართება ბულგარეთში და შემდეგ ევროპის ქვეყნებში გაივლის. ის გვერდს აუვლის უკრაინას, რაც სამომავლოდ რუსეთ - უკრაინის კონფლიქტის მნიშვნელობას შეამცირებს.⁵

რუსეთის ფედერაცია და პოსტსაბჭოთა ქვეყნები

რუსეთი ირანს 4 გაზსადენის მშენებლობას სთავაზობს

რუსულმა კომპანიებმა ირანის გაზის ექსპორტის გაზრდის მიზნით, ამ უკანასკნელს 4 გაზსადენის მშენებლობის წინადადება წარუდგინეს. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ქვეყანა საერთაშორისო სანქციების გავლენას განიცდის, ქვეყნები ურთიერთთანამშრომლობის ინტერესებს კიდევ უფრო ზრდიან. ირანის სახელმწიფო გაზის კომპანიის (NIGC) საინვესტიციო დეპარტამენტის უფროსის, აზგარ სოჰეილიპურის

⁵<http://www.hurriyetdailynews.com/turkey-russia-agree-on-gas-flow-increase.aspx?pageID=238&nID=72421&NewsCatID=348>

განცხადებით, რუსულმა კომპანიებმა შეთავაზება ირანის მე-6, მე-7, მე-9 და მე-11 მაგისტრალური გაზსადენების (IGAT) მშენებლობაზე წარადგინეს. ოთხივე ხაზი ქვეყნის ახალი საექსპორტო კორიდორის გაზრდას ემსახურება. მისი განცხადებით, NIGC-მა რუსეთის კომპანიასთან „ირანშაჰრ-ჩაბაჰარის“ გაზსადენის მშენებლობაზე, რომელიც IGAT-7 პროექტის ნაწილია, უკვე გააფორმა მემორანდუმი. კონკრეტული კომპანია



დასახელებული არ არის, თუმცა ცნობილია, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება სავარაუდოდ 700 მლნ აშშ დოლარი დაჯდება.

სააგენტო IRNA-ს ცნობით, IGAT-7 ირან-პაკისტანის გაზსადენის პროექტის ნაწილი იქნება. ხოლო IGAT-

9, რომლის საერთო სიგრძე 1 863 კმ იქნება, ირანის გაზის ევროპაში მიწოდების მიზნით აშენდება. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, რუსეთის ენერგეტიკის მინისტრის ალექსანდერ ნოვაკის განცხადებით, რუსეთი მზადაა ირანულ პროექტებში 70 მლრდ ევროს ინვესტირება განახორციელოს და ირანის ნავთობისა და გაზის სექტორი რუსული კომპანიების დიდ ინტერესს წარმოადგენს.

რუსი და ირანელი ოფიციალური პირების ცნობით, 10 მლრდ აშშ დოლარი უშუალოდ თბოელექტროსადგურების ასაშენებლად გამოიყოფა. მოსკოვსა და თეირანს შორის გაფორმებული 5 წლიანი მემორანდუმის მიხედვით, ქვეყნების ნავთობ-ინდუსტრიაში მილიარდობით აშშ დოლარის ინვესტირებაა დაგეგმილი. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ ბანკთაშორის გადარიცხვებში თავიანთი ეროვნული ვალუტა გამოიყენონ. ირანის ენერგეტიკის მინისტრის განცხადებით, ქვეყანას არანაირი შეზღუდვები არ აქვს რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების კუთხით. რაც შეეხება ნოვაკის განცხადებას, მისი თქმით, საერთაშორისო სანქციები რუსეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობებზე ნეგატიურ ზეგავლენას ვერ იქონიებს.⁶

ყაზახეთმა აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან ნავთობპროდუქტების შემოტანა გადაწყვიტა

ყაზახეთის სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია „ყაზიმუნაიგაზი“ რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ნავთობპროდუქტების მოწოდებაზე დათანხმდა. „ჩვენი ქვეყანა ნავთობპროდუქტების დეფიციტს განიცდის. იმისათვის, რომ ეს პრობლემა

⁶NewsBase FSUOGM, Issue 802, 01 October 2014, Russia offers to construct four cross-country gas lines in Iran

აღმოგვეხვრა „ყაზმუნაიგაზმა“ რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან დიდი მოცულობით ნავთობპროდუქტების მოწოდებაზე კონტრაქტი გააფორმა“ - განაცხადა ქვეყნის ენერჯეტიკის მინისტრის მოადგილემ, მაგზუმ მირზაგალიევმა. კომპანიამ რუსეთთან 180 000 მეტრული ტონა ნავთობპროდუქტების, ხოლო აზერბაიჯანთან 10 000 მეტრული ტონის მოწოდებაზე შეთანხმებას მიაღწია.



მირზაგალიევის განცხადებით, მას შემდეგ, რაც 2016 წელს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მოდერნიზება დამთავრდება, ქვეყნის ადგილობრივი მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდება საწვავზე. შედეგად 2022-2023 წლებამდე ქვეყანას აღნიშნულ რესურსების დეფიციტი აღარ ექნება. ამჟამად, ყაზახეთში 3 დიდი გადამამუშავებელი - „პავლოდარის“, „ატირაუსა“ და „შიმკენტის“ ქარხნები ოპერირებენ, რომელთა ჯამური წარმოება 13 მლნ მ.ტ-ს შეადგენს. ქვეყანაში მოხმარებული საწვავისა და ზეთების მესამედის იმპორტი კი რუსეთიდან ხორციელდება.⁷

უკრაინა „ხმელნიცკის“ ბირთვულ ელექტრო სადგურს ასრულებს

უკრაინის ბირთვული ენერჯო კომპანიის უფროსის განცხადებით, „ხმელნიცკის“ ბირთვული ელექტროსადგურის მშენებლობა რუსი პარტნიორების გარეშე გაგრძელდება. ეს ძირითადად უკრაინის ელ.ენერჯის საჭიროებით არის გამოწვეული, რაც ქვეყნებს შორის არსებული დამაბული მდგომარეობის შედეგია. უკრაინული კომპანია „ენერჯოატომის“ პრეზიდენტის იური ნედაშკოვსკის განცხადებით, უკრაინის ენერჯო სექტორის განვითარების მიზნით, კომპანია „ხმელნიცკის“ ბირთვული სადგურის ასაშენებლად ყველა საშუალებას გამოიყენებს.

სამშენებლო მიმართულებით „როსატომის“ შვილობილმა კომპანიამ „ატომსტროიექსპორტმა“ 2008 წელს ბირთვული სადგურის დამატებითი რეაქტორების მშენებლობის კონტრაქტი გააფორმა, რომელიც 2010 წელს უკრაინის მთავრობამ დაამტკიცა. „ხმელნიცკის“ ბირთვულ ელექტროსადგურზე ამჟამად ორი VVER-1000 ტიპის რეაქტორი მუშაობს. 2011 წელს „ენერჯოატომმა“ და „ატომსტროიექსპორტმა“ მესამე და

⁷ <http://en.trend.az/business/energy/2317865.html>

მეოთხე რეაქტორის მშენებლობაზე შეთანხმებას მიაღწიეს, რის მიხედვითაც „როსატომი“ სამშენებლო სამუშაოების დასრულებას მიმდინარე წლის აპრილში ვარაუდობდა. ნედაშკოვსკის ცნობით, „ენერგოატომი“ შესწავლას აკეთებდა იმის შესახებ, დამატებით რამდენი რეაქტორის მშენებლობა იყო საჭირო, თუმცა შესაძლო პარტნიორის შესახებ, რომელიც „ატომსტროიექსპორტს“ ჩაანაცვლებს, ინფორმაცია არ არსებობს.

ნედაშკოვსკის თქმით, მეორე რეაქტორის მშენებლობის ძირითადი მიზანი წარმოებული ელ.ენერჯის ევროპაში ექსპორტი იქნება. უკრაინა აღმოსავლეთ ევროპაში ამჟამად გარკვეული რაოდენობის ელ.ენერჯის ექსპორტს ახორციელებს „ბურშტინის“ თბოსადგურიდან. პროექტის შემდგომი განვითარებისთვის კომპანიის წარმომადგენლები პოლონელებთან მოლაპარაკების წარმოებას გეგმავენ და ამით კიდევ უფრო გაზრდიან ევროპაში ელ.ენერჯის ექსპორტის მოცულობებს, რაც ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მიმართულელებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.⁸

ევროპა

ენერჯეტიკის მინისტრი: „რუმინეთი 2020 წლისთვის გაზის სფეროში დამოუკიდებელი იქნება“

„2020 წლისთვის რუმინეთი იმაზე მეტ გაზს გამოიმუშავებს, ვიდრე შედარებით პატარა აღმოსავლეთ მეზობელი ქვეყანა - მოლდოვა მოიხმარს. გაზის ქსელის ოპერატორის ინფრასტრუქტურაში მეტი ინვესტირება იქნება საჭირო, რათა შესაძლებელი გახდეს დამატებით რესურსებთან გამკლავება“, - განაცხადა მოლდოვის ენერჯეტიკის მინისტრმა, რაზვან ნიკოლესკუმ.



რუმინეთი არის ევროკავშირში შემავალ ქვეყნებს შორის ენერჯო დამოუკიდებლობით მესამე ადგილზე. იგი ფლობს გაზის, ნახშირის, წყლის, ბირთვული და განახლებადი ენერჯიების ერთობლიობას და სხვა მოსაზღვრე ევროპული ქვეყნებისაგან გასწვავებით, რუსეთიდან იმპორტის სახით იღებს მისთვის საჭირო გაზის მხოლოდ 1/5 ნაწილს.

რაზვან ნიკოლესკუმ „როიტერის აღმოსავლეთ ევროპის ინვესტიციების სამიტზე“ განაცხადა, რომ მათი გამოთვლებით, 2020 წლისთვის ქვეყანას ექნება იმაზე მეტი გაზი,

⁸NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 732, 01 October 2014, Ukraine looks to complete Khmelniysky NPP

ვიდრე რუმინეთი და მოლდოვა მოიხმარს ერთად, იმ ვარაუდით, რომ მოხმარების დონე არ შეიცვლება. მისივე თქმით, რუმინეთის ენერგეტიკულ პრიორიტეტს წარმოადგენს წარმოების გაფართოება საკუთარი რესურსების გამოყენებით, იქნება ეს ოფშორული, თუ სახმელეთო.

რუმინეთის ნავთობისა და გაზის წამყვანმა კომპანიამ შავ ზღვაში აღმოაჩინა 1.5-3 ტრილიონი კუბური ფუტი (42-84 მლრდ კუბური მეტრი) გაზის რეზერვი, რომელიც შესაძლოა 2019 წლისთვის კომერციულად აქტიური გახდეს. ქვეყანა გეგმავს 36 ახალი ოფშორული და სახმელეთო ფართობის ტენდერზე გატანას.

ნიკოლესკუმ ასევე აღნიშნა, რომ რუმინეთი შეძლებს გაუძლოს უფრო მძიმე სურათსაც, რუსეთის მხირდან ევროპისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში ამ ზამთარს.

„ნათელია, რომ ჩვენ არ გვინდა ევროპამ ეს გამოიაროს. ჩვენ გვჯერა, რომ არავის ინტერესებში არაა ენერჯის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება, თუმცა ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ“ - დასძინა მინისტრმა.

რუმინეთი ზამთრისთვის მიწისქვეშა საცავში დაარეზერვებს 2.6 მლრდ კუბურ მეტრ გაზს, 1 მლრდ კუბური მეტრით მეტს, ვიდრე კანონით განსაზღვრავს ენერგორეგულატორი ANRE. ქვეყანა აწარმოებს 11 მლრდ კუბურ მეტრს წელიწადში და უხეში გათვლებით, მოიხმარს 12.5 მლრდ კუბურ მეტრს.

მიმდინარე წლის სექტემბერში, აშშ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს ნიკოლესკუმ შეხვდა ისეთი ენერგეტიკული კომპანიების წარმომადგენლებს, როგორცაა: ConocoPhillips, Quintana, Noble Energy, Transatlantic Petroleum, Aspect Holdings, Stratum Energy, Hupecol. მინისტრის განცხადებით, ეს კომპანიები დაინტერესებულნი არიან რუმინეთში საქმიანობის გაფართოებით, ან ივესტირებით.

მისივე თქმით, აგვისტოში გახსნილი მილსადენით, რომლის საშუალებითაც რუმინული გაზი უნდა მიეწოდოს არა ერვოკავშირის წევრ მოლდოვას, კომერციული პრობლემების გამო ჯერ ვერ მოხდა მიწოდება. დასაწყისისთვის მილსადენმა უნდა გაატაროს მოლდოვის წლიური მოთხოვნის 3%, თუმცა მას აქვს მოლდოვის მოხმარების სრულად დაკმაყოფილების პოტენციალი.⁹

⁹ <http://www.hellenicshippingnews.com/romania-to-become-gas-independent-by-2020-energy-minister/>

გაერთიანებული სამეფოს მთავრობა გაზის 2025 წლის საპროგნოზო ფასებს ამცირებს

გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ ხუთშაბათს გამოქვეყნებული წიაღისეული საწვავის 2025 წლის საპროგნოზო ფასი საგრძნობლად ამცირებს ბუნებრივი გაზის მოსალოდნელ ფასს წინა წლის მონაცემებთან შედარებით.

ამავროდულად, გრძელვადიან პერსპექტივაში, მთავრობა აშშ-ის თხევადი ბუნებრივი აირის (თბა) ექსპორტის ფასს ითვალისწინებს ჰენრის ჰაბის გაზის ფასთან მიმართებაში.



ენერჯეტიკისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ციფრები არ არის გაზის ფასის ოფიციალური პროგნოზული მაჩვენებელი. თუმცა, მთავრობა მას იყენებს, როგორც ვარაუდს სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენის ანალიზისას.

წინა წლის საბაზისო სცენარით, გაზის ფასი 2015 წლისთვის დაახლოებით 69.70 პენს/თერმულ ერთეულზე (11.20/MMBtu) შეადგენს, რაც 2018 წლისთვის 73,8 კ/თ-მდე გაიზრდება.

მიმდინარე წლის საბაზისო სცენარით მაჩვენებელი 2015 წლისთვის 62.10კ/თ -ია, რაც 2019 წლისთვის 58.00 კ/თ-მდე დაიწევს, ხოლო 2030 წლისთვის 76.4კ/თ-მდე აიწევს.

თუ მთავრობა მომავალ პოლიტიკურ ანალიზში წიაღისეულზე დაბალ ფასს ვარაუდობს, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს, მაგალითად, განახლებადი ენერჯის კონკურენტუნარიანობაზე.

თუ გაზის ფასი დაიწევს, განახლებადი ენერჯის მოუწევს უკეთ მუშაობა, რათა კონკურენცია გაუწიოს გაზზე მომუშავე ენერჯის წყაროებს.

DECC-ის სცენარი 2014-2015 წლებისთვის ფასებს იგივეს ტოვებს, შემდეგ 2016-2019 წლებისთვის საერთაშორისო ფასების საშუალოს იღებს. 2020-2024 წლებისთვის ის წრფივ

ინტერპოლაციას იყენებს, ხოლო 2025-2030 წლებისთვის აშშ-ის თხევადი ბუნებრივი აირის ფასებს ითვალისწინებს, რადგანაც მომავალი ათწლეულის განმავლობაში მას დიდი გავლენა ექნება ბრიტანული გაზის ფასზე.

„ფასების გრძელვადიანი პროგნოზი (2025 წლისთვის) მიმართულია აშშ-დან LNG-ის ექსპორტის ფასის წინააღმდეგ. ეს გავლენას ახდენს აშშ-ის თბა-ის ექსპორტის მნიშვნელოვნებაზე მომავალში“ – აღნიშნულია DECC-ის მეთოდოლოგიაში.

DECC-ის პროგნოზები რეცენზირებულია გაზის ბაზრის კონსულტანტის დავიდ ლედესმას მიერ.

ლედესმა წერს: „საფუძვლიანია იმის ვარაუდი, რომ 2019-20 წლების ზღვრული გაზის მიწოდება გაერთიანებულ სამეფოში მოხდება აშშ-დან თბა-ის ექსპორტის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზღვრული გაზის ფასი შესაძლოა შეფასებული იყოს ჰენრი ჰაბის ბაზებზე დაყრდნობით“.¹⁰

რუსეთის გაზის შეწყვეტის შემთხვევაში იტალიას 3 თვის სამყოფი რეზერვი აქვს

იტალიის პარლამენტში გამოსვლისას, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მინისტრის ფედერიკა გაუდის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გაზის მიწოდებას შეაჩერებს, ქვეყანას საკუთარი რეზერვები 3 თვის განმავლობაში ეყოფა. გაუდის ცნობით, იტალიას შემნახავ სადგურებში 11.4 მლრდ კუბ.მ. გაზის მარაგი, ხოლო სტრატეგიულ რეზერვებში დამატებით 4.6 მლრდ კუბ.მ გაზი აქვს.

გაუდის ცნობით, მსგავს ექსტრემალურ სიტუაციაში ენერგო მატარებლების ფასი გაიზრდება, რაც თავისთავად ბუნებრივი გაზის ფასების ზრდასაც გულისხმობს. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ყურადღებით აკვირდება მიმდინარე სიტუაციებს და შესაძლო გავლენებს აფასებს, როგორც საგანგებო პროგრამის ნაწილს.

უკრაინა, რომელიც ევროპელი მომხმარებლებისთვის რუსული გაზის ტრანსპორტს ახდენს, ფასებზე არსებული დავის გამო საკუთარი მოხმარებისთვის ამ უკანასკნელიდან ბუნებრივ აირს არ იღებს. რუსულმა სახელმწიფო ენერგო გიგანტმა „გაზპრომმა“, უკრაინის სახელმწიფო გაზის კომპანია „ნაფტოგაზს“ არსებული დავალიანებების გამო, მიმდინარე წლის 16 ივნისს მიწოდება შეუწყვიტა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დღემდე უკრაინის გავლით სატრანზიტო ნაკადები რუსეთიდან ევროპაში კვლავ მიედინება.¹¹

¹⁰ <http://www.platts.com/latest-news/natural-gas/london/uk-government-cuts-its-gas-price-projections-26895370>


¹¹ <http://www.hellenicshippingnews.com/italys-gas-reserves-to-suffice-for-three-months-should-russia-suspend-supplies/>

ინდოეთი მოწოდებულია მზის ენერჯის წარმოებაზე, თუმცა ჯერ ინვესტირებას არ ახდენს

როგორც ინდოეთის ენერჯეტიკის მინისტრმა პიუშ გოალმა განუცხადა გაზეთ „გარდიანს“, მომავალ წლებში ინდოეთი შესაძლოა განახლებადი ენერჯის მიმწოდებელი გახდეს.

ამ ამბიციურ მიზანთან ერთად, აღსანიშნავია, რომ გოალი იმავდროულად ითვალისწინებს ნახშირზე წარმოებული ელექტროენერჯის მოცულობის ზრდასაც. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სანამ ინდოეთი განახლებად ენერჯიას, კერძოდ კი მზის ენერჯიას, მოიზარებს ქვეყნის გრძელვადიან ენერჯეტიკულ გეგმად, მისთვის პრიორიტეტულია, ნებისმიერი შესაძლო გზით, დაუყონებლივ გაზარდოს ელექტროენერჯის მიწოდება.

როგორც ჩანს, ინდოეთის დამოკიდებულება მზის ენერჯიასთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვანია და უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ლაპარაკი. ქვეყნის გეგმებმა მზის პანელებსა და ტექნიკაზე ანტიდემპინგური ფასების დაწესების თაობაზე პროტესტი შეამცირა, როგორც ექსპორტორი, ისე იმპორტორი კომპანიებისგან.



აშშ, ჩინეთი, ტაივანი და მალაიზია ბოლო პერიოდის ინდოეთის მზის ენერჯის ინდუსტრიის ძირითადი მიმწოდებლები არიან. ამიტომ საჯარიმო ტარიფებზე უარის თქმა და ასევე ინდოეთის მიერ, მომავალი 5 წლის განმავლობაში, 10 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტირება განახლებადი ენერჯის პროექტში, ამ მთავარი მოთამაშე ქვეყნებისთვის კარგი სიახლე უნდა იყოს. თუმცა, გარეგნულმა სურათმა შესაძლოა შეცდომაშიც შეგვიყვანოს.

აშშ-ს მზის პანელების ყველაზე დიდი მწარმოებლის FIRST SOLAR-ის (FSLR), შემთხვევაში, საჯარიმო ტარიფებზე უარის თქმა შესაძლოა არასასიამოვნო სიახლე იყოს, ვინაიდან მოდის (ინდოეთის პრემიერ-მინისტრი) მთავრობის თავდაპირველი შემოთავაზება არ გულისხმობდა მოვალეობათა თანაბარ დონეს. ჟურნალ FORBES-ის თანახმად, თუ ჩვეულებრივ აშშ-სა და ჩინეთის მიერ წარმოებული სილიკონის ნაწილების საბაჟო ფასი, შესაბამისად, არის 0.48 აშშ დოლარი და 0.81 აშშ დოლარი ვატზე,

საჯარიმო ტარიფებზე უარის თქმის შემდომ FIRST SOLAR-ის წარმოების ფასი გახდება 0.11 აშშ დოლარი ვატზე. ნათელია, რომ გარკვეული ხარისხით ბაზრის ზრდის შედეგად მიმწოდებლები სარგებელს ნახავენ, თუმცა აშშ ჩინელ კონკურენტებთან საფასო უპირატესობას დაკარგავს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინვესტორებმა აქცენტი უნდა გააკეთონ მსხვილ ჩინურ კომპანიებზე, როგორებიცაა Trina Solar (TSL) ან Jinko Solar (JKS). ეს არ არის პირველი და სავარაუდოდ, არც უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ინდოეთი სიტყვიერად იღებს ვალდებულებას უფრო სუფთა ენერჯის თაობაზე, რადგან განვითარებული ქვეყნებისგან განიცდის ზეწოლას ემისიის შემცირების თაობაზე.

მზის ენერჯისა და ქვანახშირისგან წარმოებულ ელექტროენერჯიას შორის არსებული ფასთა სხვაობა იმაზე მეტყველებს, რომ საუკეთესო განზრახვის მქონე გეგმების განხორციელებაც კი საკმაოდ რთულია ისეთ ეკონომიკაში, რომლის სწრაფი ზრდაც აუცილებელია, თუმცა ამის შესაძლებლობა ნაკლებია.

დიახ, მზის ენერჯია უფრო მეტად ხემლისაწვდომი ხდება. თუმცა იმის ვარაუდი, რომ ინდოეთის ახალი ამბები FSLR, TSLJKS ან FSLR-თვის მოკლევადიანი იმპულსი იქნება, არასწორია.¹²

ირანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ელექტრო ქსელების დაკავშირების თაობაზე

ირანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები მოლაპარაკებებს აწარმოებენ ეროვნული ელექტრო ქსელების დაკავშირების თაობაზე.

ირანის ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემისა და დისტრიბუციის მართვის კომპანიის (TAVANIR) დირექტორის ისმაილ მოჰსენიპოურის განცხადებით, 500 კვ გადაცემის ხაზის საშუალებით არაბთა გაერთიანებული საამიროებში ელექტროენერჯის იმპორტისათვის საჭირო ხაზის მშენებლობის შესახებ შესწავლის პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა - აცხადებს ირანული რადიომაუწყებლობა IRIB.

მისივე განცხადებით, სწავლის მეორე ეტაპი მიზნად ისახავს ელექტროენერჯის ექსპორტის გაზრდას 1500 მგვტ-მდე. თითოეული მხარე პროექტის ინვესტიციის 50%-იანი წილის მფლობელი იქნება.

როგორც ირანის საინფორმაციო მაუწყებელი IRNA აცხადებს, ქვეყნის მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერჯის ექსპორტი 2.66%-ით გაიზარდა.

¹² <http://oilprice.com/Alternative-Energy/Solar-Energy/India-Is-Committed-To-Solar-But-Dont-Invest-Just-Yet.html>

ელექტროენერჯის იმპორტმა მეზობელი ქვეყნებიდან წლის იმავე პერიოდში შეადგინა 1757.5 გიგავატ საათი, რაც წინა წელთან შედარებით 7.12%-ით ნაკლებია.

ენერჯეტიკის მინისტრის, სათთარ მაჰმუდის განცხადებით, რომელიც მან 2013 წლის ნოემბერში გააკეთა, ირანი ყოველწლიურად ახდენს 8 მლრდ კილოვატ საათი ელექტროენერჯის ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში, რაც ქვეყნის მთლიანი წარმოების დაახლოებით 3%-ია. მან ასევე აღნიშნა, რომ ირანში ელექტროენერჯის წარმოებამ 70 000 მეგავატ საათს გადააჭარბა.

„ირანი ელექტროენერჯით დაკავშრებულია მის ყველა მეზობელ ქვეყანასთან. თეირანი ასევე გეგმავს ექსპორტის განხორციელებას ევროპაში სომხეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის მეშვეობით. ქვეყანას აქვს პოტენციალი გახდეს ელექტროენერჯის კერა რეგიონში“ - განაცხადა სათთარ მაჰმუდმა.

ირანის მიზანია გახდეს რეგიონში ელექტროენერჯის ძირითადი ექსპორტიორი და მოზიდული აქვს 1.1 მლრდ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია სამი ახალი ელექტროსადგურის მშენებლობისათვის.

ამაჟამად, ირანი ენერჯით ვაჭრობას ეწევა თურქეთთან, სომხეთთან, თურქმენეთთან, აზერბაიჯანთან, პაკისტანთან, ავღანეთთან, სირიასა და ერაყთან.¹³

არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა და აშშ-მ, ენერჯო თანამშრომლობის გამყარების მიზნით, ხელი მოაწერეს ურთიერთგაგების მემორანდუმს

არაბთა გაერთიანებული საამიროების ენერჯეტიკის მინისტრმა განაცხადა, რომ აშშ-ს ენერჯეტიკის მინისტრთან ერთად ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს ორმხრივ ენერჯო ურთიერთობის გაძლიერების, ურთიერთ თანამშრომლობისა და ორ ქვეყანას შორის ენერჯო სფეროსთან დაკავშრებული იდეების გაცვლის მიზნით.

საამიროებსა და აშშ-ს შორის გაფორმებული მემორანდუმი ხელს შეუწყობს როგორც ენერჯო სფეროში თანამშრომლობას, ასევე ენერჯო წყლების, არსებული ტექნოლოგიური ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების ურთიერთ გაცვლას.

მემორანდუმი განიხილავს ორი ქვეყნის თანამშრომლობის 5 ძირითად სფეროს, რომელიც მოიცავს: ენერჯეტიკული პოლიტიკის ფორმულირებას, ენერჯო ეფექტურობას, ენერჯო წყლების საკითხს, ნახშირწყლის განკარგვასა და შენახვას, არატრადიციული ნავთობისა და გაზის განვითარებას.¹⁴

¹³ <http://en.trend.az/business/energy/2318494.html>

¹⁴ <http://www.menafn.com/1093969531/UAE-US-sign-MoU-to-increase-energy-cooperation>

ნავთობის ფასი 90 აშშ დოლარს ჩამოცდა

ბოლო 17 თვის განმავლობაში პირველად, WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 90 აშშ დოლარს ჩამოცდა. ნიუ-იორკის ბირჟაზე ბარელი ნავთობის ფასმა 1 აშშ დოლარით დაიწია და 89.73 აშშ დოლარი შეადგინა. ასევე მინიმალური ფასი დაფიქსირდა ევროპულ ბაზარზეც.

ნავთობზე ფასები უკვე სამი თვეა რაც ეცემა. ამის მიზეზი ამერიკული ნავთობმოპოვების არნახული ბუმი და მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის ჭარბი მიწოდებაა.

აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის სააგენტოს მონაცემებით, WTI(West Texas Intermediate - ტეხასში მოპოვებული ნავთობის მარკა)-ის უმსხვილეს ტერმინალზე, რომელიც ოკლაჰომაში მდებარეობს, მარაგები 315 ათასი ბარელით, 20.5 მლნ ბარელამდე, გაიზარდა.

Morgan Stanley-ის ექსპერტების განცხადებით, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია(ოპეკი) არ გეგმავს ნავთობის მოპოვების შემცირებას, მიუხედავად იმისა, რომ ბაზარს ნედლეული ჭარბად მიეწოდება. მეტიც, ოპეკის ნავთობმოპოვება იზრდება. ზრდის მთავარი წყაროა ლიბია, რომელმაც დაძლია სამოქალაქო ომის შედეგები და მოპოვების მაქსიმალურ სიმძლავრეებს დაუბრუნდა.

აშშ-ის ენერგეტიკული ინფორმაციის სააგენტოს პროგნოზებით, 2015 წლისათვის აშშ-ის 14%-ით გაიზრდება. ამერიკული ნავთობმოპოვების ზრდის ტემპებმა ყოველგვარ პროგნოზებს გადააჭარბა.

მოპოვების ზრდის პარალელურად ნავთობზე მოთხოვნა მცირდება. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტომ შეამცირა 2014-2015 წლების ნავთობმოხმარების პროგნოზები.

ნავთობის გაიაფება განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის რუსეთის ეკონომიკას. ის უკვე გახდა რუსული რუბლის გაუფასურების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. Bloomberg-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, ექსპერტთა 58% აცხადებს, რომ რუსეთი რეცესიას მხოლოდ იმ შემთხვევაში აიცილებს, თუ Urals (ციმბირის ნავთობი)-ის მარკის ნავთობის ფასი არ ჩამოცდება 100 აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ Urals-ი როგორ უფრო დაბალი ხარისხის ნავთობი უფრო იაფია, ვიდრე WTI-ი და Brent-ი (ჩრდილოეთის ზღვაში მოპოვებული ნავთობი).

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირმა აშშ-ს ევროპაში ნავთობისა და გაზის ექსპორტის უზრუნველყოფა მოსთხოვა. მიზეზად რუსი მიმწოდებლის ბოლოდროინდელი პოლიტიკა დასახელდა.

მარტის თვეში აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის გავლენიანმა კონგრესმენებმა პრეზიდენტ ობამას მოუწოდეს გააუქმოს ამერიკული გათხევადებული ბუნებრივი აირის (LNG) ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები და რუსულ გაზზე ამერიკის მოკავშირეების დამოკიდებულება შეამციროს.

„ფიქალის გაზის რევოლუციის“ წყალობით 2009 წელს ამერიკამ პირველად გაუსწრო რუსეთს ბუნებრივი აირის მოპოვებაში და ექსპორტზეც კი დაიწყო მუშაობა. ამის გამო რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ რუსული გაზის ექსპორტისა და ფასების პროგნოზი მნიშვნელოვნად შეამცირა. ამერიკის ხელისუფლებამ ბუნებრივ აირზე დაბალი ფასების შესანარჩუნებლად გაზის ექსპორტზე შეზღუდვები დააწესა, თუმცა უკრაინის მოვლენებმა პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა.

ფიქალის ტექნოლოგიამ რევოლუცია ამერიკის ნავთობაზარზეც მოახდინა. აშშ-მა ნავთობის მსხვილი ექსპორტი უკვე დაიწყო და პროგნოზებით, 2017 წლისათვის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი გახდება.

ამერიკამ „ფიქალის რევოლუცია“ ევროპაშიც დაიწყო. ჯერ კიდევ შარშან რუმინეთმა განაცხადა, რომ ამერიკელებთან ერთად „ფიქალის გაზის“ მოპოვებაზე მუშაობს. ბუქარესტმა ისიც განაცხადა, რომ ევროპაში „გაზპრომის“ მონოპოლიას დაანგრევდა.

ასევე შარშან, ამერიკელთა ინიციატივით, უკრაინამ Royal Dutch Shell-თან ფიქალის გაზის მოპოვების 10 მილიარდ დოლარიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს პროექტი უკრაინას საკუთარი გაზით ათეულობით წლის განმავლობაში უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ფიქალის გაზის მარაგი ევროპაში ყველაზე მსხვილ მარაგად არის შეფასებული. ანალოგიური პროექტი დაიწყო მეზობელ პოლონეთშიც.¹⁵

¹⁵ <http://news.ge/ge/news/story/106861-navtobis-fasi-90-s-chamotsda>